ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 8 (1343)

12-18 მარტი, 1993 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება დმანისში?

როგორც ირკვევა, უკანასკნელ ხანს ძალიან დაიძაბა ვითარება დმანისის რაიონში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრს. პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ბატონმა ვ. გოგოლაშვილმა შეგვატყობინა: დმანისის რაიონში დიდი ხანია მოქმდებს ქართველ უაჩალთა ჯგუფი, რომელიც სიცოცხლეს უმწარებს მშვიდობიან მოსახლეობას. ისინი იტაცებენ ადამიანებს და პატრონისაგან დიდძალ გამოსასყიდს ღებულობენ. რამდენიმე დღის წინ აღნიშნულმა ბანდიტურმა ჯგუფმა ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცა სომეხი ეროვნების ორი მოქალაქე, რომელთაგან ერთი მკვდარი იპოვეს. სომხებს, თავისი მხრივ, მძევლად ჰყავთ აყვანილი ქართველი ადამიანი, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება. წინასწარი მოკვლევით, ქართველ მძევალს არავითარი კავშირი არ აქვს ამ ამბებთან.

დმანისის რაიონში სიტუაცია მთლიანად კონტროლიდან არის გამოსული. მდგომარეობის განსამუხტავად იქ გაიგზავნა შსს სპეცდანიშნულების ნაწილები. ადგილზე ვითარების შესასწავლად და ოპერატული ზომების მისაღებად დმანისში ჩავიდნენ საქართველოს და სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირები მიუხედავად მიღებული ზომებისა დმანისში სიტუაცია კვლავინდებურად დაძაბულია.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დმანისში ყველაფერი მოწესრიგდება და დამნაშავენი საკადრისადაც დაისჯებიან, მაგრამ გვინდა, ორიოდე სიტყვა ვთქვათ უკეთურთა გასაგონად, მიუხედავად იმისა, რომ დღეს გაზეთს არათუ ბანდიტი და უაჩაღი, არამედ წესიერი ადამიანებიც აღარ კითხულობენ.

ყველა საქმიანობაში, მათ შორის უაჩაღურშიც, არის ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადასცდე. ეს ზღვარია სახელმწიფოსა და ქვეყნის ინტერესები. მაშინ, როცა სომხეთთან ხელშეკრულება მზადდება, დმანისის ინციდენტმა შესაძლოა დისონანსი შეიტანოს მოლაპარაკების წარმართვაში და ომის ხანძარში გახვეულ ქვეყანას ცეცხლზე ნავთი დაუმატოს. დიდი კონფლიქტები ზოგჯერ მცირე ინციდენტებით იწყება. დმანისში მომხდარი ფაქტი ამითაც არის „საგანგაშო და დამაფიქრებელი.

კ. ლიკლიკაძე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული ხიშტით მოტანილი „თავისუფლების" ისტორიიდან

ეს არის სტენოგრამა იმ მოვლენებისა, რომელიც სანაპიროზე სტალინის ძეგლთან და ლენინის მოედანზე 9 მარტის საღამოს 17.40 საათიდან 23.50 საათამდე მიმდინარეობდა. იგი შეიცავს მანქანაზე ნაბეჭდ 160 გვერდს. სტენოგრამა გაკეთებულია კასეტებიდან (14) ანონიმურად, ისე, რომ მიტინგის მონაწილეებისათვის ის, როგორც ჩანს, ცნობილი არ იყო სტენოგრაფისტები ანთაძე, ტყემალაძე, ხუციშვილი, ამირჯანოვი, ბერულავა). შემოწმებული და ხელმოწერილია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სათანადო განყოფილების მიერ.

სტენოგრამა დაწვრილებით წარმოგვიდგენს შექმნილ ვითარებას, რაც იმ 6 საათის განმავლობაში აქ სუფევდა. მიტინგზე ლექსები წაიკითხეს ჯანსუღ ჩარკვიანმა, ალიო მირცხულავამ, ემანუილ აფხაიძემ, იაკობ ტრიპოლსკიმ. სიმღერები შეასრულეს დებმა კუპრაშვილებმა, ზაუაიძემ. მიტინგის მონაწილეებს მიესალმნენ როგორც თბილისელები, ისე დუშეთის, გორის, სოხუმის,ქუთაისის წარმომადგენლები (გვარებს არ ასახელებდნენ). ზოგიერთ გამოსვლაში მკაფიოდ გაისმა მთავრობისადმი რადიკალური პრეტენზიები. ხალხის მოთხოვნით მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი დავით მჭედლიშვილი, განათლების მინისტრი გიორგი ჯიბლაძე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი თეიმურაზ ბადურაშვილი, ბესო ცღენტი და სხვ. აქვე იყვნენ სხვა ხემძღვანელი მუშაკებიც (კვაჭაძე, სეხნიაშვილი და სხვ.)

მიტინგი მეტად დაძაბულად,ნერვიულად მიმდინარეობდა. აი რამდენიმე ამონაწერი სტენოგრამიდან.

1956 წლის სისხლიანი 9 მარტი

(ხოცვა-ჟლეტის წინ გამართული მიტინგის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომლის არსებობა თვით მიტინგის მონაწილეებმა და გამომსვლელებმა არ იცოდნენ და რომელიც შემოგვინახა სუკის არქივმა)

„ეს ლენინ-სტალინ ერა
ყველა რომ ვსტირით ალალად,
ყველა რომ მოვთქვამთ გულითა, —
ეს სტალინია მიზეზი,
ალალი სიყვარულითა.
აბა რა გითხრათ, არ ვიცი
როგორ გაოვთქვა ენითა,
ვინ თქვა — სტალინი მოკვდაო —
და არ ისვენებს ლხენითა.
სიკვდილ რა უდა იმასთან,
ვინც რომ სიკვდილი დაღალა,
ვინც რომ თავისი გონებით
გადაარჩინა ქვეყანა.
არ დაივიწყოთ არავინ, —
სტალინი მუდამ გულში გვყავს,
სტალინი მუდამ ჩვენია.
ნეტავი თვითონ ანახა
აცრემლებული თვალები, —
ალალად გაგვიღიმებდა,
რომ ვიტირებდით ქალები.
რა დამავიწყებს ჯუღაშვილს,
მე იმას ვენაცვალები.
არ დაივიწყოთ ბელადი,
დაჰკათ ბუკსა და ნაღარას,
ის ჩვენი ნატვრის თვალია,
ჭირიმე იმის ჭაღარას.
თუ გინდათ მუდამ გახსოვდეთ
თქვენი ალალი
გულითა,
უმღერეთ „შავო
მერცხალო"
ალალი სიყვა-
რულითა.
დიდება მუდამ
მის სახელს
რომ არის ცად
ატანილი,
მშვიდობა არის,
სოსელო,
უკვდავებაა სტა-
ლინი."
(მქუხარე ტაში.
ხალხი: ვაშა, ურაა.
ხალხი მღერის „შავო მერცხალო").

„დღეს ბევრს ლაპარაკობენ ქუთაისელ გოგონაზე, იგი თურმე დიდად აქტიურობდა ტრიბუნაზე. იმასაც ამბობენ, რომ ჯარისკაცმა იგი ტრიბუნაზევე ხიშტით განგმირა. ეს გულიკო სვანი იყოო — ამბობენ ისინი.

არა, ეს არ არის მართალი. მართალია ის, რომ ქუთაისელი გოგონა სანაპიროზე, ძეგლთან ტრიბუნაზე იყო, სიტყვაც წარმოთქვა, ლექსიც წაიკითხა, მაგრამ ის გულიკო სვანი არ იყო. ანონიმური სტენოგრამის მიხედვით, როცა თავმჯდომარემ გამოაცხადა „ამხანაგებო, მიკროფონთან გამოვა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სახელით ქალაქ ქუთაისიდან"-ო, ტრიბუნაზე ავიდა ქალი, რომელმაც თავის სიტყვაში მკაცრად გააკრიტიკა ხრუშჩოვი, ბულგანინი, მიქოიანი, ილაპარაკა სტალინურ კონსტიტუციაზე, მეხუთე და მეექვსე ხუთწლედებზე,მის დამსახურებაზე. შემდეგ მიტინგს მიმართა: „ნება მიბოძეთ, არა როგორც პოეტმა, არამედ როგორც სუფთა საბჭოთა ახალგაზრდამ ალალი გულით გითხრათ ის, რაც წუხელის თქვენთან ჩამოსვლის დროს (ე.ი. 8 მარტს, ამ სიტყვას და ლექსს იგი კითხულობს 9 მარტს 21 საათსა და 20 წუთზე — შ.ნ.) მე დავწერე. შეიძლება? იკითხა მან და, როცა თანხმობა მიიღო, წაიკითხა შემდეგი ლექსი:

„უკვდავი იქნეს მუდამ-ჟამს
სტალინის სიტყვა მართალი,
ყველასი მოსიყვარულის
ალალი გულით ნათქვამი.
კავკასიონის მთებიდან
ჩამოქროლილო ნიავო,
ვიცი შენც სტირი ბელადზე,
არწივზე გულ- გტკივაო.
თერგო ჩამოხველ ბარში და
დაგხვდა ცრემლის ზღვა ულევი,
უფრო აღელდი, რომ შენი
დაჩრდილა ნაფეხურები.
—
თითქოს აღარ გვყავს ბელადი,
თვითონ მივიდეთ ქართლიდან
განა შორსა ვართ კრემლამდე.
ვის შეუძლია მისებრი
ღიმილი, სიტყვა მართალი
ის არ მოკვდება, გვჯეროდეთ,
ფოლადის განანათალი.
აბა რას იგებთ ვინ რა თქვა,
ან და რა ჰქონდა გულშია,
როცა სტალინი და-ძმებო,
აქ, ჩვენთან ჩაჯდა სულშია.
ვის შეუძლია, რა ძალას
რომ დამავიწყოს სტალინი.
ჩვენი იმედი სულისთქმა
ქედიდან ჩამოტანილი.
არა, არავის გვჯეროდეთ,
რომ დავივიწყოთ სტალინი,
ალალი სიყვარულითა.
ალალი სიყვარულითა.
ალალი სიყვარულითა.

სახელმწიფოს მეთაურთან ბრძოლა უფრო საშიშია თუ საკუთარ სახლმმართველთან?!

ამ ორიდე წლის წინ ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი იყო ერთი მართლა ნიჭიერი კარიკატურისტი. ძირითადად საბჭოეთის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის კარიკატურებს, ერთობ მახვილგონივრულ კარიკატურებს გვთავაზობდა. ვაქვეყნებდით კიდეც ბევრ მათგანს.

ერთ დღეს, დაგვჭირდა და ჩვენებური პოლიტიკოსის კარიკატურის დახატვა ვთხოვეთ. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ვერ ვიზამ მაგ საქმეს, არ შემიძლიაო. ჩავეძიეთ მიზეზს. უკეთესი რომ ვერაფერი მოიგონა, რა ვქნა, სახეები არ გამომდისო (გორბაჩოვის სახე მშვენივრად გამოსდიოდა).

მიეხვდით; მსოფლიოს მაზანზარებელი, საშიში იმპერიის საშიშ მესაჭესთან უშიშრად მებრძოლ ჩვენს მხატვარს, უბრალოდ, ეშინოდა „ადგილობრივი მნიშვნელობის“ პოლიტიკოსთან „დატაკებისა“.

გორბაჩოვი ხომ იქით, შორს იყო, აქეთური პოლიტიკოსი კი — აქვე, ახლოს!.. აქედან გამომდინარე ყველა შოსალოდნელი. შედეგით!

* * *

ამგვარი გაბედულება — გაუბედობა, შეიძლება ითქვას, პროპორციულ თანაფარდობაშია „დასატაკებელი“ ობიექტის „ახლოყოფობის“ ფაქტორთან — რაც უფრო ზევით, შორსაა ეს ობიექტი, მით უფრო ადვილია, ნაკლებად საშიშია მისი კრიტიკა...

(პარადოქსია, მაგრამ ფაქტია)

* * *

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ რაც უფრო მაღლა „შეხტები“, მით უფრო სასახელოა ეს, მით უფრო გაბედული, მაგარი გამოდიხარ...

* * *

ასეთი გაბედულების მოწმენი თითქმის ყოველდღე ვართ.

გადაშალეთ ჩვენი გაზეთები.

დიდსა თუ პატარას ლამის ღირსების საქმედ მიაჩნია ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა „ხალიჩაზე გამოწვევა“.

ამ მხრივ განსაკუთრებით ბატონ ედუარდ შევარდნაძეს „გაუმართლა“.

რა ვარაციებით არ ხდება ამ, უკვე „სავალდებულო თემის“ კრიტიკული დამუშავება...

(რასაკვირველია, იმას არ ვამტკიცებ, რომ ეს კრიტიკა ყოველთვის უმართებულოა, მით უმეტეს, კრიტიკა ბ-ნ ედ. შევარდნაძეს არც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აკლია. საქმე ისაა, ამ მასალებში ხშირად მხოლოდ ის რომ იკითხება, შემხედეთ, რა მაგრი ვარო!)

* * *

ბოლო დროს უფრო ქვემოთ, და შესაბამისად უფრო „საშიშ“ იოსელიანსაც, კიტოვანსაც „მოუსინჯეს კბილი“, და რაკიღა ამ მოთხოვნას მაინცადამაინც ცუდი არაფერი მოჰყოლია მომსინჯველთათვის, უნდა ველოდოთ, რომ ეს პროცესიც განვითარდება...

* * *

ვიმეორებ, ამ „შემომხედეთ“-ის პოზიციიდან შექმნილ კრიტიკაშიც არაფერია ცუდი. ცუდი ისაა, ხშირად ამის იქით (ქვევით) რომ არ მიდის (ჩამოდის) საქმე, რომ ამ „მაღალმა პოლიტიკამ“ ლამის ყველაფერი წალეკოს, ლამის დაგვავიწყოს, რომ ბოლოსდაბოლოს, არც შევარდნაძე, არც იოსელიანი, არც კიტოვანი, და სხვანი ვაკუუმში არ არსებობენ, თავისი გარემოცვა ჰყავთ, ვიღაცეებს და რაღაცეებს ეყრდნობიან, და თუ მაინცდამაინც „სროლაა“ საჭირო, ამ უკანასკნელებისკენაც უნდა ვისროლოთ ხანდახან — კენჭი მაინც...

* * *

დიახ, როცა „მაღლა“ მყოფ, ვთქვათ, პრემიერ-მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრს, განათლების მინისტრს და ა.შ. „ვაშაოებთ“, ჩვენი კრიტიკული თვალი იშვიათად თუ **მისწვდება** „ქვემოთ“, ვთქვათ, **კონკრეტულ**, უღირს გამგებელს, პოლიციის უფროსს, სკოლის დირექტორს, სახლმმართველს და ა.შ.

რატომ?

შევარდნაძე-სიგუა-იოსელიანი-კიტოვანი შორს არიან, შენი რაიონის გამგებელი, პოლიციის უფროსი, შენი შვილის სკოლის დირექტორი, შენი სახლმმართველი კი აქვე, **გვერდით, ხელმისაწვდომ** მანძილზე იმყოფებიან, და დარწმუნებული იყავით, „კრიტიკაზე რეაგირება“, „პასუხი“ მათი მხრიდან გაცილებით ოპერატიული, **მტკივნეული** იქნება, ვიდრე აღნიშნული „ზემოურებიდან“.

არ დაგვაგიწყდეს: სად მთავრობასთან, გვარდიასთან, „მხედრიონთან“, პოლიციასთან, პროკურატურასთან ომი და სად ვიღაც გამგებელთან, გვარდიელთან, მხედრიონელთან, პოლიციელთან, პროკურორთან, სახლმმართველთან “კინკლაობა“!

და აქ მივადექით კიდეც კიდევ ერთ მიზეზს იმისას, „მცირე კინკლაობაზე“ მეტად თუ რატომ გვეადვილება, გვსიამოვნებს „დიდი ომი“.

ჩვენ მივეჩვიეთ ზოგადთან, საზოგადოსთან, მოვლენასთან ბრძოლას (ეს უბედური, ყბადაღებული „ბრძოლა“ რომ ვერ მოვიშორეთ!), გავითავისეთ ზოგადი ლაპარაკი, ზოგადი კრიტიკა, ზოგადი შრომა...

და ვლაპარაკობთ, „საქმეს ვურჩევთ“ ზოგადად მთავრობას, ზოგადად გვარდიას, ზოგადად „მხედრიონს“, ზოგადად პოლიციას, ზოგადად პროკურატურას...

ცალკე საუბრის თემაა — თუ როგორ დამკვრელურად იქცა მთელი ჩვენი საზოგადოება საზოგადოდ „მორწმუნედ“, თუ როგორ ხმაშეწყობილად, ლოზუნგურად („პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ — ის ადგილას) გავყვირით ათ მცნებას, ზოგადად როგორ ვიწონებთ, მოვუწოდებთ(სხვებს!) „ათი დაცვისაკენ!“

* * *

ასეა თითქმის ყველა სფეროში.

მაგალითად —

ლაპარაკია, იწერება ზოგადად მწერლობაზე და არა მწერლებზე, კონკრეტულ ნაწარმოებებზე. ვინ მოთვლის, რამდენი რომანი, მოთხრობა, ნოველა, პიესა, პოემა, ლექსი გამოქვეყნდა უკანასკნელ წლებში, და ალბათ, თითებზე ვერჩამოსათვლელი წერილი თუ მიეძღვნა მათ.

(ქართული ლიტერატურისთვის მარადიული კითხვა: „სად არის კრიტიკა?!“)

არა მარტო „კრიტიკულ“, ჩვენებური გაგებით „მომთხრელ წერილებს“ ვგულისხმობ. ასევე იშვიათად შეხვდებით საქებარ, მხარდამჭერ გამოსვლებს. ზოგადად „ქართული მწერლობის“ ქებას, დაცვას — რამდენიც გნებავთ! (ადვილია კაცობრიობის სიყვარული, ძნელია კონკრეტული ადამიანის სიყვარული!“)

* * *

ასეა თეატრთან, კინოსთან დაკავშირებითაც.

რამდენი სპექტაკლი დაიდგა, რამდენი ფილმი გამოვიდა და რა ცოტა — რეცენზია, წერილი...

ამას ვინ ჩივის, ისინიც კი, ვისაც ეს პროფესიულად, კოლეგიალობის გამო ევალება, ელემენტარულად არ დადიან თეატრში, კინოში... სამაგიეროდ — დიდი ხმაური ქართული თეატრის, კინოს ფენომენის ირგვლივ! („ვეფხისტყაოსნისა“ არ იყოს, ყველას ასე რომ გვეამაყება და ასე ცოტა(ს) რომ ვკითხულობთ!)

* * *

ზოგადი ლაპარაკი, ზოგადი კრიტიკა იქამდე მივიდა, რომ ამასწინათ ერთი პოლიტიკოსი, რუსეთ-საქართველოს მომავალ ხელშეკრულებას რომ აკრიტიკებდა, კითხვაზე, მაინც რომელი მუხლები არ მოგწონთ განსაკუთრებითო, ასე პასუხობდა; საერთოდ არ წამიკითხავს ამ ხელშეკრულების პროექტი და არც მაინტერესებს მისი წაკითხვაო!..

არ შეიძლება ცხონებული ილფისა და პეტროვის შეგონება არ გაგახსენდეს, „საჭირო არაა ნაგავთან ბრძოლა, საჭიროა ნაგვის გატანა!“.

* * *

სამწუხაროდ, დღესაც რა აქტუალურია ჩვენში ეს შეგონება.

„ბრძოლა“ ხომ ადვილია, ნაგვის გატანა — ძნელი.

ამიტომაცაა ამდენი „ბრძოლა“ (ლაპარაკი), და შესაბამისად — ნაგავიც (ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით) — ბევრი!..

* * *

დაბოლოს, ბოდიშის მოხდით აღვნიშნავ, ეს წერილი, ცოტა არ იყოს, ზოგადი გამომივიდა...

ამიტომაც ვამბობდი, ზოგადად წერა უფრო ადვილიათო!..

ფელიქს კოტიაშვილი

თვალსაზრისი

რა შეიძლება მოჰყვეს ამას?

ვინც გაცნობილია საზღვარგარეთულ პრესას, მიაქცევდა ყურადღებას რომ აფხაზეთში მიმდინარე ომისადმი დაწერილ სტატიებში თითქმის ყველგან ჩვენ უარყოფითად ვართ მოხსეიებულნი.

მათი საერთო პათოსი ასეთია — „შედარებით დიდი ქართველი ერი ჩაგრავს და გენოციდს უწყობს პატარა აფხაზ ხალხს“.

ეს ხდება იმის გამო, რომ ჩვენ არ ვეწევით ისეთ პროპაგანდას, როგორიც ჩვენთვის არის ხელსაყრელი და რომელიც მართლა შეესაბამება სინამდვილეს.

ხომ ფაქტია, რომ აფსუებს რუსეთი იყენებს და ჩვენ იქ ფაქტიურად რუსეთი გვებრძვის. უფრო მეტიც, ტერიტორია გუმისთიდან ფსოუმდე რუსეთს ფაქტიურად ოკუპირებული აქვს. მე აქ შეგნებულად არ ვხმარობ ტერმინს — რეაქციული რუსეთი, რადგან სხვისი ტერიტორიების მიტაცების საკითხში ორი რუსეთი არ არსებობს.

თუ ასე გაგრძელდა, ამ ტერიტორიას რუსეთი იურიდიულადაც მიითვისებს. ასეთი რამ ერთხელ უკვე მოხდა 20-იან წლებში.

აქედან გამომდინარე ისმის კითხვა, რა ვქნათ?

რასაკვირველია რუსეთის ჯარი არის საოკუპაციო და იგი ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავაყვანინოთ. მაგრამ ეხლავე, მთლიანად საქართველოში განლაგებულ რუსეთის ჯარებს, რომ მივცეთ საოკუპაციო სტატუსი, ეს არ იქნება სწორი ნაბიჯი (ჩემი აზრით, ეს უნდა გაკეთდეს მოგვიანებით, რაზედაც ქვემოთ მექნება ლაპარაკი) და აი რატომ.

პირველ რიგში, უნდა განვაცხადოთ და მსოფლიოს დავანახოთ, რომ აფხაზეთში ჩვენ გვეომება რუსეთი, აქედან გამომდინარე კი გამოვაცხადოთ იქ მყოფი რუსეთის ჯარები როგორც საოკუპაციო და აგრესორი.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ რუსეთის ჯარების გასვლა ამ რეგიონიდან იმიტომ კი არ გვინდა, რომ შემდეგ აფსუები გავწყვიტოთ, არამედ იმიტომ, რომ აფხაზეთში ომი გვიხდება რუსეთთან.

რა შეიძლება მოჰყვეს ამას პოლიტიკურ ასპექტში?

რუსეთი დგება არჩევანის წინაშე!

თუ იგი არ გაითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნას, მან უნდა გაითვალისწინოს და მერწმუნეთ გაითვალისწინებს კიდეც აქედან გამომდინარე შესაძლო შედეგებს:

1. ჩვენი შემდეგი ნაბიჯი იქნება მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარისათვის სოკუპაციო სტატუსის მინიჭება და მათი კანონგარეშე გამოცხადება.

2. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებზე რუსეთის ჯარებს შეექმნებათ „ისეთი პირობები, მათ რომც არ უნდოდეთ, მაინც მოუწევთ ჯარების სწრაფი და მთლიანი გაყვანა.

3. ამას მოჰყვება რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიის, როგორც სტრატეგიული პლაცდარმის მთლიანი და საბოლოო დაკარგვა.

4. ასევე, თუ რუსეთი წავიდა ტერიტორიის ფაქტიურ ჩამოჭრაზე, ე.ი. ცვლილებაზე, ეს გამოიწვევს თვით რუსეთისთვის გაუთვალისწინებელ შედეგებს, რადგან აფხაზეთისნაირი ავტონომია თვითონ რუსეთს ოცამდე აქვს.

ამიტომ ვამბობ, რომ პირველ რიგში საოკუპაციო სტატუსი უნდა მიეცეთ ჯუდაუთის დაჯგუფების ჯარებს, ხოლო დანარჩენი ჯარების სტატუსი ღიად დარჩეს (რაც არ ნიშნავს, რომ ეს ჯარები ჩვენი მოკავშირეა ან სხვა).

რუსეთის ჯარებისათვის მთელ საქართველოს ტერიტორიაზე საოკუპაციო სტატუსის მინიჭება კი უნდა გახდეს შემდეგი ნაბიჯი, იმისდა მიხედვით თუ რა მოხდება და რა ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი ჩვენს მიმართ.

მამუკა ჩხაიძე



ლევან მესხი: რუსეთი შეეცდება დაასუსტოს საქართველო

— დღეს საყოველთაო საუბრის თემაა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება. ჩვენც ამით დავიწყოთ.

— პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ძირშივე მცდარია ის მოსაზრება, თითქოს პარლამენტში იყვნენ ძალები, რომლებიც რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობის წინააღმდეგნი არიან. ხელშეკრულება, ცხადია, უნდა დაიდოს როგორც რუსეთთან, ისე მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან. დღეისთვის ჩვენ ხელშეკრულება გავაფორმეთ თურქეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან. მიმდინარეობს მოლაპარაკება სომხეთის რესპუბლიკასთან. არის წინადადება, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დაიდოს უკრაინასთან. მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ყველა მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით. მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ორასი წლის განმავლობაში რუსეთის შემადგენლობაში ვიყავით (იძულებით) და გამომდინარე აქედან, ამ ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთმა უნდა გვაღიაროს და გვცნოს, როგორც თანაბარი პარტნიორი და სუვერენული სახელმწიფო. ამის გათვალისწინებით, რუსეთთან ურთიერთობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისათვის. ჩვენ საკმარისზე მეტი მწარე გამოცდილება გვაქვს. გავიხსენოთ ვერაგულად დარღვეული გეორგიევსკის ტრაქტატი, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ საქართველოს ხელმეორე ანექსია. ასე რომ, ჩვენი სიფრთხილე გასაგებია ამ ხელშეკრულების მომზადების პროცესში. შესაბამისად, ყველა ფრაზას, მძიმეს და წერტილს განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ.

— მიუხედავად ხელშეკრულების მნიშვნელობისა, ხალხში იგრძნობა გარკვეული უნდობლობაც რუსეთისადმი.

— გასაკვირი ის იქნებოდა, რომ უნდობლობის ფაქტორი არ ყოფილიყო. ისტორიულ მწარე გამოცდილებას რომ თავი დავანებოთ, უნდობლობისა და ეჭვისათვის რეაქციული რუსეთის ამჟამინდელი პოლიტიკაც კმარა. მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ გაივლის წლები და, თუ რა თქმა უნდა, რუსეთი განაგრძობს დასავლეთის დემოკრატიული გეზით სვლას, უნდობლობის ფაქტორიც მოიხსნება. მაგრამ ეს უნდობლობის ფაქტორიც რომ მოიხსნას, ამისათვის ჩვენს ცნობიერებაში და რუსეთის ხელისუფლების საქართველოსადმი დამოკიდებულებაში დადებითი ცვლილებები უნდა მოხდეს.

— რას იტყოდით საპარლამენტო დებატებზე?

— რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაზე დებატებს პარლამენტის სამი სხდომა მიეძღვნა. წინა შაბათს ერთ-ერთი სხდომა ისე ჩატარდა, რომ კვორუმიც კი არ იყო. ეს პარლამენტის სპიკერის „დამსახურებაა“, თუმც „მოუცლელ“ დეპუტუტთა უპასუხისმგებლობასაც არანაირი გამართლება არა აქვს. დებატები ღია ეთერით გადაიცემოდა და მე დაწვრილებით აღარ ვისაუბრებ შათზე. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, რომ ამ დებატებში გამომსვლელი დეპუტატები აღნიშნავდნენ ხელშეკრულების მხოლოდ უარყოფით მხარეებს. დადებით მხარეებზე, რაც უდავოდ აქვს დოკუმენტს, თითქმის არავის გაუმახვილებია ყურადღება, გარდა სახელმწიფოს მეთაურის, ბატონ ედუარდ შევარდნაძისა, რომელმაც დეპუტატებისაგან განსხვავებით ხელშეკრულების დადებით მხარეებზეც ისაუბრა და ის პუნქტებიც გამოჰყო, რომლებსაც შემდგომი დახვეწა სჭირდებათ. თუ კრიტიკული გამოსვლა უფრო მეტია, ეს თვითმიზანი კი არ გახლავთ, ან აკვიატება, არამედ სურვილი, რაც შეიძლება კარგი და მისაღები ხელშეკრულება დაიდოს.

— როგორც ჩანს, ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე საკამათო ადგილია რუსეთის ჯარის გასვლის საკითხი, რომელიც შეიძლება დაბრკოლების ლოდად იქცეს ამ ხელშეკრულებაში.

— მე ძალიან კარგად აღვიქვი ბატონ თამაზ გამყრელიძის გამოსვლა, რომელმაც სრულიად ახალი მიდგომა გამოამჟღავნა რუსეთის ჯარების საქართველოდან გასვლასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, რუსეთის ხელშეკრულების ამ პუნქტს ასეთი სათაური აქვს: „რუსეთის ფედერაციის და საქართველოს რესპუბლიკას შორის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით მყოფი რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა სამართლებრივი სტატუსის შესახებ.“ ბატონმა თამაზმა წამოაყენა წინადადება, რომ ხელშეკრულების ეს სათაური შეიცვალოს შემდეგნაირად: „რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკას შორის საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმირებათა გაყვანის შესახებ“. ეს შინაარსობრივად და თვისობრივად განსხვავებული ხელშეკრულებაა და სულ სხვა მიდგომას მოითხოვს.

საერთოდ, პარლამენტში იყო აზრი, რომ მოლაპარაკების წინაპირობად შეიძლება დაისვას აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის საკითხი. რა პოზიციას დაიკავებს რუსეთი, ძნელი სათქმელია. ჩვენ, პარლამენტში მყოფ სახალხო ფრონტის დეპუტატებს აბრიორულად მიგვაჩნია, რომ რუსეთი შეეცდება არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას ან თუ ხელი მოაწერა — არ გაუკეთოს რატიფიკაცია. ამაზე მეტყველებს თუნდაც გრაჩოვის დაუპატიჟებელი ვოიაჟი საქართველოში, განგაშავთ პრეზიდენტ ელცინის ცნობილი განცხადება. რუსეთი ყველანაირად შეეცდება უფრო დაასუსტოს საქართველო და რუსეთისათვის სასარგებლო ხელშეკრულებაზე მოაწერინოს ხელი.

— შესძლებს საქართველოს პარლამენტი ჩვენთვის მისაღები ხელშეკრულების ვერ მიღწევის შემთხვევაში არ მოაწეროს ხელი ჩვენი ინტერესების საზიანო ხელშეკრულებას?

— პარლამენტში არის საკმაო ძალები, რომლებიც არ დაუშვებენ საზიანო ხელშეკრულების გაფორმებას.

— რუსეთთან სასარგებლო კავშირურთიერთობა ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ბევრ ხელოვნურ სიძნელეს მოაგვარებს, მაგრამ არა მგონია, მან უშველოს საქართველოს შინაურ განხეთქილებას.

— ვფიქრობ, რომ საშინაო პოლიტიკა სხვაგვარად უნდა წარმართოს და, საერთოდ, მგონია, სანამ არ მოვაგვარებთ ურთიერთობას ქვეყნის შიგნით მყოფ ოპონენტებთან, მანამდე რაიმე ხელშეკრულების მიღწევაზე ლაპარაკი ზედმეტია.

— რას იტყოდით ზოგიერთი პარლამენტარის მოსაზრებაზე, პარლამენტის სხდომები სოხუმში ჩატარდეს?

— ჩემთვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, სად იმუშავებს პარლამენტი. მაგრამ ვფიქრობ, რომ სოხუმში მთელი პარლამენტის ჩასვლა დამატებით სიძნელეებს შეუქმნის იქაურ ხელისუფალთ. ჩემი აზრით, სოხუმში უნდა მიდიოდნენ საომრად, აქ კი უფრო პასუხისმგებლობით და ნაყოფიერად უნდა ვმუშაობდეთ აფხაზეთის პრობლემების მოსაგვარებლად.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— ვიდრე უკანასკნელად გაემგზავრებოდა სოხუმს ბატონი ე. შევარდნაძე, პარლამენტში ამგვარი ამბავი მოხდა. „ქარტია 91“-მა პარლამენტის წინაშე წამოაყენა დადგენილება, რომელიც ავალდებულებდა სახელმწიფოს მეთაურს, დაეწყო მოლაპარაკება რუსეთის ხელისუფალთასთან რუსეთის ფედერაციის ჯარების გაყვანის შესახებ კონფლიქტის ზონიდან. სახელობით კენჭისყრაზე ეს წინადადება არ გავიდა. წინააღმდეგ იყო ერთი, რამდენიმე დეპუტატმა თავი შეიკავა და თორმეტმა კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის (ვინც კენჭისყრაზე უარი თქვა) იყო ბატონი ე. შევარდნაძეც. [illegible]ადად ჩემთვის ეს მოულოდნელ[illegible] და თუმცა მეორე დღეს ეს და[illegible]ება ერთხმად გავიდა, ბატონი [illegible]ისგან უარის თქმა ჩემთვის გა[illegible]ად რჩება.

— 9 მარტს რუსეთთან მოლაპარაკებლად გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც უკანასკნელ მომენტში აღმოჩნდა ბატონი ნოდარ ნათაძე.

— ბატონი ნოდარი მოლაპარაკების დაწყების მეორე დღეს გაემგზავრა მოსკოვს. მისი ოფიციალურ დელეგაციაში ჩართვა მოხდა პარლამენტართა ერთი ჯგუფისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დელეგაციის გამგზავრებამდე არავის გახსენებია ბილეთის დაჯავშნა და ბატონი ნოდარისთვის თვითმფრინავში ადგილი არ აღმოჩნდა...

ვფიქრობ, ბატონი ნოდარის მონაწილეობა მეოთხე რაუნდში სასიკეთო შედეგს იქონიებს ჩვენთვის სასარგებლო ხელშეკრულების მომზადებაში.

ესაუბრა კ. ლიკლიკაძე

მკითხველთა წერილების კვალდაკვალ

რა ქნან ახლა ცოკილაურებმა?

დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე საშოვარზეა გადაგებული და საკმაოდ სარფიანად ვაჭრობს არათუ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა თუ რაიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და ბევრ მათგანს სწორედ ამგვარი აღებ-მიცემობა გაუხდია საარსებო წყაროდ, მაინც უდავო ჭეშმარიტებად რჩება ის, რომ მიწაა ჩვენი მარჩენალი, დამშურებელი და ამიტომაც ხელისუფლებამ ყოველნაირად უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ ქართველი კაცი მიწას მიუბრუნდეს და სხვა საქმიანობასთან ერთად საკუთარ მიწაზე მოწეული დოვლათითაც ახარჯოს ოჯახი.

საბედნიეროდ, კომუნისტური რეჟიმისაგან თავდაღწეულებს, დღეს გვაქვს შესაძლებლობა გავხდეთ საკუთარი მიწის მფლობელნი, მესაკუთრენი და ხელისუფლების სტრატეგიული კურსიც იქითკენაა მიმართული, რომ ყოველ ოჯახს, ყოველ ქართველს ჰქონდეს საკუთარი მიწის ფართობი და საერთოდ, მოხდეს მიწის კანონიერი, სამართლიანი დანაწილება და ამ დროს რაოდენ დასანანია, რომ ქვეყნისთვის სასიცოცხლო და აუცილებელ ამ პროცესს ზოგჯერ ადგილებზე ამუხრუჭებენ სხვადასხვა ბიუროკრატიული კვანტების გამოდებით.

ამას წინათ რედაქციაში მივიღეთ მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში მცხოვრებ **მაყვალა ივანეს ასულ ცოკილაურის** განცხადება, რომელშიც აღწერილია სწორედ ის ბიუროკრატიული მექანიზმი, მიწების დროულ განაწილებას რომ უშლის ხელს და ხშირად გლეხკაცს გულსაც კი უცრუებს მიწაზე.

კერძოდ, საქმე იმაშია, რომ ქალბატონი მაყვალა ცოკილაური ოჯახითურთ სოფელ მისაქციელში ცხოვრობს და მუშაობს 1976 წლის აპრილიდან, ანუ იმ დღიდან, როცა ცოკილაურების ოჯახმა ს. მისაქციელში მცხოვრებ ამირან ბერიაშვილისაგან იყიდა ერთოთახიანი სახლი ექვსასი კვადრატული მეტრი ეზოთი. ამჟამად, მიწების პრივატიზაციასთან დაკავშირებით, ცოკილაურებს განცხადებით მივმართავთ ს.მისაქციელის გამგებლისთვის ზ. თვალიაშვილისთვის, რომ მათ ხუთსულიან ოჯახს დამატებით გამოყოფოდა მიწის ნაკვეთი, რადგანაც მათი ექვსასი კვადრატული მეტრი მიწის ფართობი ვერ აკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნებს.

მისაქციელის გამგებელს საპასუხოდ სახლის ნასყიდობისა და ცოკილაურების ოჯახის ს. მისაქციელში ცხოვრების დამადასტურებელი საბუთი მოუთხოვია მათი მეზობლების ხელმოწერით. ცოკილაურებსაც არ დაუხანავთათ და გამგებლისთვის წარუდგენიათ სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება და მათი მისაქციელში ცხოვრების დამადასტურებელი საბუთი ორმოცი მეზობლის ხელმოწერით. შემდეგ გამგებელს მოუთხოვია ოჯახის სრულასაკოვან წევრთა მეურნეობაში ნამუშევრობის საბუთი და ცოკილაურებსაც მიუტანიათ დოკუმენტი, რომელიც იუწყებოდა, რომ „მაყვალა ივანეს ასული ცოკილაური მიღებულია ნატახტრის საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოდ 1976 წლის აპრილის თვეში და განთავისუფლებულია 1977 წლის ბოლოს, რადგანაც ნაწერილი არაა.“

თითქოს აქ უნდა დასმოდა წერტილი ამ ისტორიას და ცოკილაურების თხოვნაც მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე დაეკმაყოფილებინათ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ახლა გამგებელს ქვა აუგდია, რაიონის ხელმძღვანელების გარეშე ვერც ჩაგწერთ და არც მიწის ნაკვეთს მოგცემთო. ცოკილაურებსაც, სხვა რა დარჩენოდათ, მიუმართავთ მცხეთის გამგეობისათვის განცხადებით, სადაც თავიანთი გასაჭირი დაწერილებით მოუყოლიათ და ისიც აღუნიშნავთ, რომ მისაქციელში ისეთ ხალხსაც კი აძლევენ მიწას, რომელთაც აქ არათუ უცხოვრიათ, ან უმუშავიათ, ზოგი მათგანი აქაურებს თვალითაც კი არ უნახავთ.

მცხეთის გამგეობის ხელმძღვანელთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მათ ოპერატიულად განუხილავთ განცხადება და მისაქციელის გამგებლის ზაალ თვალიაშვილის თანდასწრებით თანხმობა განუცხადებიათ ცოკილაურების ოჯახის მისაქციელში ჩაწერასა და მათთვის დამატებით მიწის ნაკვეთის გამოყოფაზეც.

ამჯერადაც გაჯიქებულა მისაქციელის გამგებელი, ვერ ვიზამ მაგ საქმესო, ანუ ოჯახს, რომელიც მისაქციელში ცხოვრობდა და მუშაობდა მთელი თვრამეტი წლის მანძილზე, ვერც ჩაგწერ და ვერც მიწის ნაკვეთს მივცემო და თავისი მტკიცე უარის მოტივად ცოკილაურების მისაქციელში ჩაუწერლობა მოუყვანია.

ერთი შეხედვით სწორია მისაქციელის გამგებელი, — კანონის აღსრულება ეკალება და უკანონო საქციელს ვერ ჩავიდენო, ჩაუწერელ კაცს ვერც ნაკვეთს მივცემ და უკანონოდაც ვერ ჩაგწერო. კეთილი და პატიოსანი. კანონი უნდა კანონობდეს და სამართალი პურსაც ჭამდეს, მაგრამ ამ დალოცვილ სამართალს, კანონის გარდა, მეორე მხარეც ხომ გააჩნია — ადამიანური, მორალური, რომელსაც ვერცერთი კანონი ვერ გაითვალისწინებს და რომელსაც განსაკუთრებულად უნდა მიაპყროს გულისყური კანონის აღმსრულებელმა.

ასეთი ამბები კომუნისტური რეჟიმის დროს რომ ხდებოდა, მაშინ კანონიც უცხო ქვეყნისა გვქონდა და მისი აღმსრულებლებიც უცხო ქვეყანას ემსახურებოდნენ და ისე ჭრიდნენ და კერავდნენ, როგორც იმ კანონსა და მათ ჯიბეს აძლევდა ხელს, მაგრამ დღეს, როცა დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, გაეროს წევრიც გავხდით და საკუთარი ქვეყნის სამსახურში უნდა ვიხარჯებოდეთ, სამწუხაროდ, ზოგ-ზოგები კელავ უკან იყურებიან და მათთვის ჩვეული სტილით კანონს, როგორც უნდათ ისე აბამენ ყურს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ურჩევნია მათ „საქმეს“.

ბატონო ზაალ, რა ქნან ახლა ცოკილაურებმა? თუ თაეის დროზე არ ნაწერეს მისაქციელში, ალბათ ისევ თქვენი ყოფილი კოლეგების გამოისობით. მაშინ, მოგეხსენებათ, საბჭოური ქვეყანა ვიყავით და თქვენი ყოფილი კოლეგებიც საბჭოურად აზროვნებდნენ. ახლა კი თქვენ, ბატონო ზაალ, დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ხოფელს განაგებთ და ამ სოფლის მცხოვრებლებზე ზრუნვა გავალიათ. მესმის, რომ კანონიერად ითხოვთ ცოკილაურებისგან ნაწერის ბაბუთს, მაგრამ თუ მათ ასეთი არ გააჩნიათ, თქვენც ადექით და ჩაწერეთ, ამ ოჯახს თვრამეტი წელი ამ სოფელში უცხოვრია, უშრომია, შვილებიც აღუზრდია და ახლა იმ ფურჭატინა ქალალდის გამო უმიწოდ რატომ უნდა დატოვოთ?

შეიძლება, რომელიღაც კანონის რომელიღაც მუხლი დაარღვიოთ კიდეც, მაგრამ მიწაზე მოსავალი მოვიდეს, ის ჯობია, თუ საბუთების გროვებაში, დაუხვნელ-დაუთესველი დარჩეს ბალდენახები?

სერგო ჯანაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ადამიანი უმწეოს ეხმარება იმ მოტივით, რომ აქედან რაღაც მიიღოს, ან თავისი ჟინი აღისრულოს, მაშინ მისი ქცევა არაზნეობრივია.

პოლიტიკა და ზნეობა

(წერილი მესამე)

რა არის ზნეობა?

ვახტანგ ერქომაიშვილი

1) ზნეობრივი ქცევა უანგაროა. იგი გამორიცხავს არა მხოლოდ მატერიალური სარგებლობის მიღებას, არამედ ადამიანის რაიმე ბუნებრივი ლტოლვის — ჟინის ან სურვილის დაკმაყოფილებას. თუ ადამიანი უმწეოს ეხმარება იმ მოტივით, რომ აქედან რაღაც სარგებლობა მიიღოს ან თავისი ჟინი აღისრულოს, მაშინ მისი ქცევა არაზნეობრივია.

2) ზნეობის მიზანი ადამიანი, მისი ღირსება და ბედნიერებაა. ამასთან მას მხედველობაში აქვს ადამიანი საზოგადოდ, დამოუკიდებლად მისი მრწამსისა, რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილებისა, სოციალური თუ კლასობრივი წარმოშობისა. რომელიმე კონკრეტულ ადამიანზე ვზრუნავთ არა იმიტომ, რომ ნაცნობი, საყვარელი კაცია, არამედ იმიტომ რომ ადამიანია. ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, „კაი-კაცობის“ იდეალების დამკვიდრება — აი ზნეობის უმაღლესი მიზანი.

3) ზნეობა გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობას. ეს უკანასკნელი არ გამოიყენება არა მხოლოდ სიკეთის დასამკვიდრებლად, არამედ თვით ბოროტების წინააღმდეგ. თუ მომავალი სიკეთის რეალიზაციისათის მივმართეთ ძალადობას, მაშინ თვითონ ჩვენ ვამკვიდრებთ ბოროტებას. ყოველი თეორია, რომელიც ძალადობის მეშვეობით მოითხოვს სიკეთისათვის ბრძოლას, უზნეობის პრინციპს ემყარება, რაგინდ კეთილშობილური მიზნები არ უნდა ამოძრავებდეს მას. პრაქტიკულად თუ რა ტრაგიკული შედეგები მოაქვს ამგვარ თეორიებს ადამიანისათვის, ჩვენ ეს საკუთარი გამოცდილებიდანაც კარგად ვიცით, რომ არაფერი ვიქნათ ისტორიულ გამოცდილებაზე. თუ ბოროტებას ძალადობით ვებრძვით, მაშინ ჩვენ თვითონ ვთესავთ მას, ბოროტებას ძალადობით ვერ აღმოვხვრი, პირიქით, კიდევ უფრო გაამრავლებ — ასეა ზნეობის პრინციპი. ამიტომ კრძალავს იგი ყოველგვარი ძალისმიერი საშუალებების გამოყენებას, რა მაღალი იდეალებითაც არ უნდა ხდებოდეს მათი გამართლება.

მაშ, რით უნდა ვებრძოლოთ ბოროტებას, ისევ სიკეთით, სათნოებით და ქველმოქმედებით — ასეთია ზნეობის მოთხოვნა. რა ვუყოთ შურისგების გრძნობას, რომელიც ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. იგი არაზნეობრივია და უნდა შეიცვალოს მიტევებით, შენდობით. სხვათა დანაშაულს ისევ დანაშაულით კი არ უნდა ვუპასუხოთ, არამედ დავგმოთ და გავკიცხოთ. მანკიერებათა მხილება, გამომქღავნება საჭიროა არა იმ მიზნით, რომ ისინი ძალისმიერი მეთოდებით ამოვკვეთოთ, არამედ შთაგონებით და ლმობიერებით განკურნოთ.

მაგრამ თუ ახსოვს ისტორიას, რომ ვინმეს ამგვარი მეთოდებით დაეძლია ბოროტება? მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა, რომელიც სიყვარულის რელიგიაა, **უკვე ორი** ათასი წელია არსებობს, ბოროტება მაინც ბატონობს და მძლავრობს სიკეთეზე. „ღმერთი სიყვარული არს“ — ამბობს წმინდა მოციქული იოანე. „“გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ — არის ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მცნება. მაგრამ შედეგი? არა სიყვარული და კაცთმოყვარეობა, არამედ სიძულვილი და მტრობა, არა ჭეშმარიტება და სათნოება, არამედ სიცრუე და ბოროტება მართავს კაცობრიობას. უფრო მეტიც, ქრისტიანობა, როდესაც შუა საუკუნეებში გაბატონებული იდეოლოგია გახდა, თვითონ იქცა ბოროტების წყაროდ. ჯვაროსნული ომები, ინკვიზიცია, ერეტიკოსების დევნა და ა.შ. ამის ნათელი დადასტურებაა, რადგან მათი განხორციელება ხდებოდა ქრისტეს სახელით. ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით: რაზე მეტყველებს იგი? იმაზე რომ მხოლოდ ზნეობა და სიკეთე უძლურია დაძლიოს უზნეობა და ბოროტება. პირიქით, ბოროტება უფრო ძლიერია სიკეთესთან შედარებით, რადგან იგი ყოველგვარ საშუალებებს იყენებს თავისი მიზნის მისაღწევად, მაშინ, როდესაც სიკეთეს არ შეუძლია ყველა, კერძოდ, ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ბოროტებასთან ბრძოლაში. ნეოპლატონიზმის იდეა, რომელიც რუსთაველმა ხატოვნად გამოთქვა — „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ — უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა. სინამდვილე საწინააღმდეგოს ამტკიცებს და ჩვენ აქ მივადექით ზნეობის ერთ თავისებურებას, რომლის ნათლად გაცნობიერება აუცილებელია.

4) ზნეობა გამოხატავს არა იმას, რაც არის, ე.ი. რეალობას, არამედ იმას, რაც უნდა იყოს. ზნეობრივი რეალური არ არის, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ ზნეობა არა არსის (რეალობის), ზრამედ ჯერარსის გამოხატულებაა. ბიბლიური მცნებები — არა კაც-მკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო — მოთხოვნებია, რომლებიც ადამიანმა უნდა განახორციელოს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამგვარ უზნეობებს სინამდვილეში ადგილი არა აქვს. პირიქით, რეალობა, გინდ ისტორიული, გინდ თანამედროვე სავსეა ამ უმსგავსებებით. დღიდან დასაბამისა ადამიანი დაუნდობლად ებრძვის მათ, მაგრამ კლების ნაცვლად ისინი მატულობენ, უფრო დახვეწილი და მასობრივი ხდებიან. ზნეობა მოგვიწოდებს, რომ ვიყოთ კეთილნი და სათნონი, ქველმოქმედნი და გულმოწყალენი. იგი იმას კი არ ამტკიცებს, რომ ჩვენ ასეთები ვართ, არამედ იმას, რომ უნდა ვიყოთ ასეთები. არა ვართ, მაგრამ უნდა გავხდეთ კეთილნი. ეს არის ჯერარსი (უნდა), რომელიც, მართალია, არ არსებობს, მაგრამ სავალდებულოა, აუცილებელია, რომ არსებობდეს. ამას მოითხოვს ადამიანურობის, კაცთმოყვარეობის იდეალი, რომლის გამოვლენაც არის ზნეობა.

5) ზნეობა გამოხატავს არა **იძულებას, არამედ** თავისუფლებას. **თუ ადამიანს არ სურს, მაგრამ** იძულებულია სხვას დაეხმაროს, მაშინ მისი ქცევა არაზნეობრივია; მორალური მხოლოდ ისეთი ქცევაა, როდესაც ადამიანი იმას აკეთებს, რაც მას სურს. ეს ნაბიჯი მისი არჩევანის შედეგია. მას შეუძლია ასეც მოიქცეს და სხვაგვარადაც, დაეხმაროს ან არ დაეხმაროს უმწეოს, მაგრამ იგი ზნეობრიობის პრინციპის გამო ირჩევს, თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რომ მას დაეხმაროს და გვერდში ამოუდგეს. ეს მისი კეთილი ნების გამოვლენაა, რომელიც თავისუფალი არჩევანის შედეგია. ცხოველთა ქცევებს ჩვენ არ ვაფასებთ მორალურობის კატეგორიებით. რატომ? იმიტომ, რომ ისინი არ არიან თავისუფალნი. ცხოველი იქცევა ასე (ვთქვათ, მგელი ჭამს შვლის ნუკრს) არა იმიტომ, რომ მას ასე სურს, არამედ იმიტომ, რომ იგი ბუნებამ ზსე მოაწყო. მას ევოლუციის შედეგად ისეთი გენური კოდი ჩამოუყალიბდა, რომელიც აიძულებს მოიქცეს სწორედ ასე და არა სხვაგვარად. მისი ქცევა ინსტიქტურია და არ ემყარება ნების თავისუფლებას.

ამის გამო მგლის ქცევას ჩვენ ვერ შეეფასებთ როგორც უზნეოს. იგი მორალის მიღმაა. ადამიანის ანალოგიური საქციელი შეფასდება როგორც უზნეო. ამგვარი შეფასება გამართლებულია იმიტომ, რომ ადამიანის ქცევა ემყარება ნების თავისუფლებას და არა ინსტიქტს. მას შეუძლია მოიქცეს სხვაგვარად — არ მოკლას და გემრიელად არ მიირთვას შვლის ნუკრი, მაგრამ იგი აკეთებს იმიტომ, რომ ასე სურს. ეს მისი არჩევანის, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგია. ცხოველი მოიქცა ისე იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეეძლო. ადამიანი კი მოიქცა ასე იმიტომ, რომ ასე ისურვა. სხვაგვარად შეეძლო, მაგრამ ასე ამჯობინა. პირველი იძულებულია ასე აკეთოს, მეორე კი — თავისუფალი. ამიტომ ცხოველი მორალის, ბოროტისა და სიკეთის მიღმაა, ადამიანი კი — მორალის ფარგლებში. მხოლოდ ადამიანს წაეყენება ზნეობრივი მოთხოვნები და მისი ქცევა შეფასდება მორალური პრინციპებით.

6) ზნეობრივ ქცევას საფუძვლად უდევს ადამიანის გულის კარნახი, მისი შინაგანი ხმა — სინდისი. იგი კარნახობს ადამიანს მოიქცეს ასე და არა სხვაგვარად. გადაწყვეტილება, რომელიც მან მიიღო, სინდისისმიერია. სინდისმა უკარნახა, ასე ვთქვათ, ურჩია მას, რომ ასე ემოქმედა. სხვაგვარი ქცევა კონფლიქტში მოვიდოდა მისი გულის კარნახთან.

თუ ადამიანი ზნეობრივია, მაშინ უზნეობის ჩადენისას განიცდის სინანულს და სინდისის ქენჯნას. მორალის თვალსაზრისით, უზნეობის სასჯელის ზომა მხოლოდ ერთია: საზოგადოების მხრიდან დამნაშავის გაკიცხვა, მაგრამ მისთვის მიტევება, ხოლო დამნაშავის მხრიდან — მონანიება და სინდისის ქენჯნა — სხვა სასჯელი, რომელიც ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას ემყარება — სიკვდილით დასჯა, პატიმრობა, ჩაქოლვა და ა.შ. — არაზნეობრივია, ამიტომ გაუმართლებელია და მიუღებელი.

ასეთია მოკლედ ზნეობრივი პრინციპები და ნორმები, რომელთა გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ პოლიტიკისა და ზნეობის მიმართება.

„ეთანხმება“ მაგრამ „არ ემორჩილება“

1920 წლის მაისში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გასარკვევად და ხელშეკრულების დასადებად მოსკოვს ჩასული გენერალი ურატაძე მიიღებს ინფორმაციას, რომ ორჯონიკიძე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან წითელი არმიით უტევს ქართულ ჯარებს.

ურატაძე პროტესტით შედის ლენინთან და უცხადებს — თუ რუსის ჯარი არ შეწყვეტს ქართული ტერიტორიების ანექსიის მცდელობას, — მოლაპარკებას შევწყვეტო.

ლენინი უკავშირდება საგარეო საქმეთა სამინისტროში თავის წარმომადგენელს კარახანს და კარნახობს: „გადაეცი ორჯონიკიძეს, თუ არ შეწყვეტს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას, რუსეთ-საქართველოს მოლაპარკების ჩაშლისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება მას“. „ბელადს“ იმ ხანად არ აწყობდა კავკასიაში საქმის გართულება, რადგან ბაქო უკვე მის ხელთ იყო, ამასთან, პოლონეთთან მოელოდა ბრძოლებს).

იმავე ღამით ურუტაძე და კარახანი მოსკოვიდან ბაქოში უკავშირდებიან სერგო ორჯონიკიძეს და კარახანი მოახსენებს ლენინის შენათვალს.

რკინის სერგო პასუხობს ლაკონურად: „არ ვეთანხმები, მაგრამ ვემორჩილები“.

ისტორია დეტალებში მეორდება. მოსკოვს ხელშეკრულების დასადებად ჩასულია ჩვენი დელეგაცია. რუსის ჯარი კი აფხაზეთში გვბომბავს. რუსის ქმედება არ შეცვლილა, შეიცვალა ჩვენდამი მოტყუების ფორმა. ასე მაგალითად, მოსკოვიდან წამოსულ საჩვენო ბრძანებებს „აქაური“ რუსის გენერლები პასუხობენ: „ვეთანხმები, მაგრამ არ ვემორჩილები“. ჩვენც შეწუხებულნი გავიძახით, რომ რეაქციულ რუსეთზე გავლენა არ აქვს დემოკრატიულ რუსეთს და ა.შ. და ა.შ.

ვიდრე ამ ორი რუსეთის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევაში ვართ, ის ორი რუსეთი შესანიშნავად ახერხებს ერთი რუსეთის ერთი და ძველთაძველი ინტერესის — დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელებას.

ნოდარ თორელი



ელდარ კახურაშვილი

მხოლოდ თვრამეტჯერ იაპრილა მისთვის...

მტრის ტყვიამ ადრიანად გაუცივა გული...

ცუდი მაინც ყოფილიყავი, ელდარ! ასე ძალიან არ დაგვწყდებოდა გული... აღარ დაგვადენდი ასე ცხარე ცრემლებს... ნუთუ იმიტომ იყავი ასე საყვარელი, კეთილი და მხიარული, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ტკივილამდე ძნელი ყოფილიყო შენი გახსენება..

გვიჭირს იმის დაჯერება, რომ იყავი და უკვე აღარ ხარ!..

გვეძნელება შენზე წარსულ დროში საუბარი!..

ვერ შევეგუებით შენს უმოძრაო, გაციებულ სხეულს. შენ ხომ სულ სხვანაირი იყავი, ელდარ, მოძრავი, დაუდეგარი, მხიარული და მუდამ მოღიმარი...

იყავი და ჩვენს წარმოდგენაში სწორედ ასეთად დარჩები!..

დარჩები საუკუნოდ!..

შენ დღეს იწყებ მარადიულ ცხოვრებას, იწყებ ვალმოხდილი მშობელი ხალხისა და სამშობლოს წინაშე!..

ამიტომაც, მარადიული იქნება შენი ხსენება!

დე, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობიური მიწა.

გვიყვარხარ, ძმაო ელდარ!

ქეთევან ხატიაშვილი
ზაზა შულაია
მეგობრების სახელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

1956 წლის სისხლიანი 9 მარტი

გაგრძელება

ამხ. ბადურაშვილს (ხალხი ხამურით აწყვეტინებს).

თავმჯდომარე — მოიცათ, მოიცათ. შემოსული არის შეკითხვა ქალაქის კომკავშირის კომიტეტის მდივანზე, რა უნდოდა. ამხ. ბადურაშვილს სტუდენტთა ქალაქში 6-, 7, 8 მარტს და რისთვის უშლიდა იგი სტუდენტებს გამოსვლას სტალინის ძეგლთან? ამაზე პასუხს გასცემს თვითონ ბადურაშვილი.

ბადურაშვილი — ამხანაგებო. აი აქ მე ვხედავ სტუდენტთა ქალაქიდან, ბიჭებს, ამხანაგებს, და თუ მე ტყუილს ვიტყვი აქ, ამოვიდნენ და შემარცხვინონ თქვენს წინაშე, რომ არავისთვის სტუდქალაქში არ დამიშლია ნუ წახვალთ მეთქი სტალინის მონუმენტთან. იყო თუ არა ასე?

ხალხიდან — სწორია. სწორია.

ბადურაშვილი — სწორია თუ არა?

ხმები — სწორია.

ბადურაშვილი — მეტი შეკითხვა ჩემს მიმართ არ არის?

ხალხი — არა არ არის, არ არის".

ეს მოხდა 22 საათსა და 20 წუთზე.

მიტინგზე ლექსი წაიკითხა და სიტყვა წარმოთქვა ახალგაზრდა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა. ანონიმური სტენოგრამიიდან მოგვყავს ეს სიტყვა და ლექსი უცვლელად (სტილი დაცულია):

„ლაპარაკი პრეზ. — (პირველი ხმა) გამოაცხადე, ხო, სტალინის სახელობის (მეორე ხმა) რიგში დგას. (მესამე ხმა) დგას.

პრეზ. თავმჯდ. — სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი, ახალგაზრდა პოეტი — ჯანსუღ ჩარკვიანი (ხმაურია).

ჩარკვიანი — ამხანაგებო, ქართველებო, მომისმინეთ, ძალიან გთხოვთ. მთელი აქ ხალხის უმეტესობა მოწამეა, რომ მე თქვენთან ერთად ხუთი დღეა განვიცდი ამ მძიმე დღეებსა. ამხანაგებო, მე ისეთივე ქართველი ვარ, როგორც ყოველივე თქვენგანი. მე ისევე მიყვარს კომკავშირი და დიდი კომუნისტური პარტია, როგორც უყვარს ყოველ თქვენთაგანს. ხომ მართლა გიყვართ კომუნისტური პარტია.

ხალხის შეძახ. — გვიყვარს, გვიყვარს.

ჩარკვიანი — მეც მიყვარს კომუნისტური პარტია, ამხანაგებო, ხალხის ნება-სურვილს ვერავინ გადავა. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს. ურა შეძახილები). გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს. (ურა). ამხანაგებო! ვერავინ ვერ შებღალავს დიდი სტალინის სახელს, თუ ჩვენ ერთად ვიქნებით და ამ შესანიშნავ წამოწყებას, დიდი სტალინის სახელის დაცვას ბოლომდე მივიყვანთ, შეგნებულად და წესიერად. (ხალხში: ურაა — ტაში) ამხანაგებო მე მინდა გითხრათ, ვიდრე ჩვენ ერთად ვართ, ვიდრე ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, ჩვენში კიდევ არიან გადაგვარებული ხალხი, თვითონ ჩვენი მტრები, სხვადასხვა პარტიიდან შემოპარული ზოგიერთი ნარჩენები. (ურას შეძახილები). ამხანაგებო, ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს გვერდით არიან ჩვენი უსაძაგლესი მტრები, რომელბიც გაგვიხსენებენ, როგორც ჩვენს ქართულ ვაჟკაცობას, რომელიც დასტეხია თავს თურქეთს და სპარსეთს. ამხანაგებო, ჩვენ არა ვართ იმის მომხრე, რომ თითქოს ჩვენ არ გვიყვარდეს დიდი რუსეთი, ხომ ტყუილია ესა.

ხალხი — ტყუილია.

ჩარკვიანი — ჩვენ გვიყვარს დიდი რუსი ხალხი, მხოლოდ მათთან მხარდამხარ უნდა ვიაროთ ისეთი წესიერი გზით, ისეთი გზით, როგორც ოდეს საქართველო დასაბამიდან. ამხანაგებო, ჩვენ ქრისტიანები ვართ, ჩვენ ვაჟკაცები ვართ, ჩვენ მამა-პაპა გვასწავლიდა, რომ ჩვენ თავისუფლები ვართ და ვიქნებით მარად. ამხანაგებო, გაუმარჯოს დიდ სტალინს, ჩვენთან ერთად დიდება სტალინს. (ხალხი: დიდებაა).

ჩარკვიანი: დიდება სტალინს (ხალხი: დიდება სტალინს, დიდება სტალინს, დიდება სტალინს). ამხანაგებო, ნება მიბოძეთ, ჩვენი გულისტკივილი გამოვხატო ამ პატარა ლექსით, ვთქვა თუ არა?

ხალხი — თქვი, თქვი.

ჩარკვიანი —

მარტი იყო და გაზაფხულის სუნი დაქროდა,
მყინვარებს მაინც თოვლი აწვათ ერთი არშინი,
საქართველოში ტრიალ ველებს დროშა არ ჰქონდა
და ჰა, ყაყაჩო გამოფინეს შავი არშიით.
ზღვა ყვავილები გაიკრიფნენ, მოსკოვს წავიდნენ,
გზად სამძიმარით საქართველოს ზეცა ასწიეს,
გზა გვირგვინებდა, იკვრებოდნენ, თითქმის სამი დღე
და მერე კრემლში ხალხთა ბელადს ცრემლი აწვიმეს.
ვერ შევხვდებოდით ქართლის მთებზე ნარგიზს და შროშანს
და ვერც ნიავს მოშრიალეს მღიმარს ბავშვივით,
საქართველოში ტრიალ ველებს არ ქონდათ დროშა
და ჰა, ყაყაჩო გამოფინეს შავი არშიით.
ჩვენ ეს ცხოვრება დედასავით შევისისხლხორცეთ,
დასაბამიდან გაგვიტაცა მზემ და მიწამა,
ლექსი რა არის, თუ არ ახლავს შენი სიცოცხლე,
კაცი რა არის, შენი საქმე თუ არ იწამა.
მაშასადამე, ცოცხალი ხარ, როგორც იცოდი —
მარცხენა ხელი ქამართან გაქვს მოხრილი ოდნავ,
მარჯვენათი კი ჩიბუხს ისევ ანთებ სიცოცხლით,
რომ დიდებისკენ გზა უჩვენო სტალინურ მოდგმას.
გიმღერით ბელადს, ვინც ბერლინი მილეწ-მოლეწე,
ეხლა ბერლინელს მშვიდობის გზით, რომ მიუძღვები.
შენ ცოცხლობ, სტალინ , და მეც ვბეჭდავ სწორედ იმ ლექსებს,
სამი წლის წინათ შენს სიცოცხლეს რომ მივუძღვენი.
ბერლინისათვის იგი მუდამ ბერლინელია,
და ჩინელებიც თავის გულში ასე ადგენენ,
ჭირში თუ ლხინში ტრიბუნაზე ისევ ელიან
კაცს, — მსოფლიოში ყველა ერის წარმომადგენელს.
რა კაცი იყო, ზღაპრად ქმნილი, გასაოცარი,
ბრძენი მედროშე, დასტაქარი, ყოვლის შემძლები,
. დიდი მელექსე, ინჟინერიც, გემზე-ბოცმანი,
რუსი, ქართველი, მალაელი, თურქი, ბერძენი.
ხო და ვუმღერებთ, სანამ სისხლი არ გათავდება,
პარტია გეტყვის, თუ კი დარჩა რამე სათქმელი...
მეგობრებო, ჩემთან ერთად, — დიდება სტალინს, დიდება სტალინს, დიდება სტალინს.
ხალხი — დიდება სტალინს, დიდება სტალინს, დიდება სტალინს (ხალხში ხმაურია)".

ვიმეორებთ, ეს არის სიტყვა-სიტყვით, მთლიანად უცვლელად ამონაწერი 'ანონიმური სტენოგრამიდან. იგი არც ავტორისა და არც სხვის მიერ ჩასწორებული არ არის, იმიტომ რომ მისი ნახვა შეუძლებელი იყო. ამიტომ ლექსში უეჭველად შეცდომები არის და ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ ერთი ცხადია: ჩარკვიანის სიტყვასა და ლექსში ლაპარაკია არა მარტო სტალინის სიყვარულზე, არა მარტო რუს ხალხთა მხარდამხარ სიარულზე, არამედ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოზეც.

ეს სიტყვა და ლექსი წარმოთქმულია 9 მარტს საღამოს 22 საათსა და 50 წუთზე. ეს არის პერიოდი, როდესაც ამბავი მოაქვთ იმის შესახებ, რომ კავშირგაბმულობის სახლთან სამხედროებმა დააკავეს ახალგაზრდები, რომ არის სროლაც. ამის შესახებ იქვე სტენოგრამაში კითხულობთ:

„პრეზ. თავმჯდ. — ამხანაგებო. ყურადღება. ამხანაგებო. მომისმინეთ, მეგობრებო. შემოსულია ასეთი წერილი: „ეხლახან რუსთაველის გამზირზე... (ძალიან დიდი ხმაურია, ხალხი არ აძლევს ლაპარაკის საშუალებას. ხალხი ღელავს და ყვირის — არ გვინდა. (პრეზიდიუმში კამათია: (პირველი) დაანებე თავი. (მეორე) ჩვენ იქ დეპეშას გავგზავნით. (მესამე) ილაპარკე, ილაპარაკე).

თავმჯდომარე — მოიცა, რა, მოიცა კაცო (კითხულოს):

„ამხანაგებო, ეხლახნ რუსთაველის გამზირზე თბილისის სამხედრო გარნიზონის მიერ დაკავებული იქნენ ქართველი ახალგაზრდები.. ვთხოვდით ხალხს, აცნობოთ ეს ამბავი და პასუხი მოთხოვოთ თბილისის გარნიზონის მორიგეს".

აი, ეს იყო შემოსული და მოგახსენეთ კიდეც. (ხალხი ღელავს)."

ამას მოყვა, როგორც ეს სტენოგრამით ირკვევა, ხალხის კიდევ უფრო აღელვება, სტვენა, ყვირილი, რამდენიმე მამაკაცის, ქალის დაჟინებითი მოთხოვნა მისცენ მათ საშუალება მიკროფონთან გამოსვლისა. პრეზიდიუმთან არის მოწოდების ხმა: „დომ სვიაზში" პირდაპირ, „დომ სვიაზში". ისმის უცნობი ახალგაზრდის სიტყვები: „დომ სვიაზის წინ სამხედროები ხალხს ურტყამენ, ესვრიან თოფებს, გვამტვრევენ ცხვირ-პირს, ხალხო, გავიწოოთ, შევკალათ თავი, არ დადგეთ უკან არცერთი, ყველა

1956 წლის სისხლიანი 9 მარტი

გაგრძელება

ჩქარა, სასწრაფოდ, სუყველანი ჯლებლივ წავიდეთ (საშინელი ყვირილია)". და ხალხის ნაწილი მათლაც წავიდა კავშირშგაბმულობის სახლისაკენ, ნაწილი კი, პრეზიდიუმის მოწოდებით იქვე დარჩა. სიტყვები, ხმაური, შეძახილები, სტვენა, მოწოდებები კვლავ გრძელდება. დაძაბულობა და ნერვიულობა მატულობს, რასაც ნათლად გვიჩვენებს როგორც მთელი მიტინგის, ისე მისი დამამთავრებელი ეტაპის, (ბოლო 40 წუთის) სტენოგრამა, რომელსაც შკითხველს აგრეთვე უცვლელად ახლა ვთავაზობთ (სტილი დაცულია):

„23 10 საათი (ხალხი ღელავს, დიდი ხმაურია, პრეზიდიუმში ყველა ერთად ლაპარაკობს).

პრეზ. თავმჯდ. აქ ეს ხალხი რაც არის არ იშლება. ნაწილი წავიდა. ეს ხალხი ჩვენ გვჭირდება აქ. შესაძლებელია ის მომენტი, რაც იქ განმეორდება, აქაც განმეორდეს (ეტყობა ლაპარკია იმ ამბავზე, რომელიც კავშირგაბმულობის სახლთან რამდენიმე ახალგაზრდის დაკავებას შეეხება — შ.ნ.). ჩვენ ვიქნებით აქ სუყველა. (პრეზიდიუმში და ხალხში ყველა ერთად ლაპარაკობენ, არაფერი არ ისმის...

პრეზიდიუმში — პატივისცემა არა გაქვთ. (მეორე) — უნდა ვადიდოთ სტალინი, ავაშენოთ, ავაშენოთ. ვიქნები და ვიქნები, მორჩა და გათავდა. (მესამე) — წაიდე, წაიდე. მოდი აქ. დღეს. მოდი, ნუ გაიმეორე.

ხალხი — დიდება სტალინს. დიდება სტალინს. დიდება სტალინს.

უცნ. ახალგ. დიდება სტალინს, დიდება სტალინს.

„საქართველოს შხე ვადიდოთ,
საქართველოს თბილი კერა,
სადაც დედამ ჯულაშვილის
აკვნის ნანა დაამღერა.
საქართველოს სიამაყეს —
გორის ციხეს ვუთხრათ ქება,
ის ხომ ქართლის სიმტკიცესთან
იმის ძალას დარაჯობდა.
საქართველოს შხე ადიდეთ
და ერეკლეს მარჯვე ხმალი,
თამარ მეფე ამაყვანეთ,
პირიმზისა, შხეთაქალი.
მე ამ გორებს, სვეტიცხოვლის
იატაკს და მაღალ ფერებს
გორგასლანის სასაფლაოს,
საქართველოს სიამაყეს
დეე გახსოვდეთ სიკვდილამდე
ჩვენი საქმე საამაყო...

(უცნობი ახალგაზრდა ამთავრებს ლექსს):

„საქართველოს სული ერქვა,
ვინც გაგვზარდა საამაყოთ".

საერთო ხმაურია. ხმები პრეზიდიუმიდან: — (პირველი) — მოიცა! მოიცა! (მეორე) — პრესაა, პრესა, აი, წიგნი (მესამე) —

ხმა პრეზიდიუმიდან: ამხანაგებო, მოუსმინე სანდო პირს. წყნარად, წყნარად (საშინელი ხმაურია).

ახალგაზ. ვაჟი მიკროფონი მუშაობს?

თავმჯდომარე — რა გაინტერესებს, რა გინდათ. ამხანაგებო! ერთი რამ საინტერესოა, ამხანაგებო!

პრეზ. თავმჯდ. — ამხანაგებო, პასუხს ვცემ შეკითხვაზე, თუ გაინტერესებთ მოიცადეთ, ლექსები არ გვინდა, ლექსი არ გვინდა (დიდი და დაუსრულებელი ხმაურია ხალხში).

ყვირილი: ხალხო, წადით, წადით.

პრეზიდიუმში — რა საჭიროა გაყოფა, გაყოფა არ გვინდა, კაცო, ყველა ერთად წავიდეთ, რომ გაყო უარესია იმიტომ, რომ სადაც ყველა, იქ წავიდეთ, კაცო.

თავმჯდომარე — ხალხო, პანიკაა, პანიკა, პანიკაა.

(ხმა: — პარტიზანები ვართ!)

ახალგ. ვაჟი — მაცალეთ რა, შენი ჭირიმე, ერთი წუთი. ხალხო გაგვაგებინეთ, რა გინდათ, ვის რა გინდათ. გავიგოთ რაშია საქმე და ყველა ეთად ვიყოთ. ზოგი აქეთ, ზოგი იქით, დაწყნარდით, კაცო, დაწყნარდით. ამხანაგებო, არაფრისა არ შეგეშინდეთ. რაკი ბრძოლაა ვიყოთ, ბოლომდე.

1 — ახალგაზრდა — ამხანაგებო, ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ, არავინ არ წაგიყვანთ.

2 — ახალგაზრდა — ამხანაგებო, დაწყნარდით, ნუ გეშინიათ. მუხის ხეს ვერ შეგეშინიან, ეს კილასონია, ზოგა ბუბაძის მოწმე ვარ.

ნუ გეშინიათ, მიეცით ხმა.

თავმჯდომარე — არ აიბნეთ, არ აიბნეთ. ჯკვიანად იყავით, წყნარად. ნუ გეშინიათ, ფრთხილად (ხალხში დიდი ხმაურია, საშინელი ღელვა, არეული ყვირილი).

თავმჯდომარე. — ამხანაგებო არავის არ უნდა დაბნეულობა. მტერმა შიში არ შემოიტანოს. ჩვენ მედგრად ვართ. თუ სროლა არის, არა. ჩვენ ერთად წავალთ. არ არის საჭირო (არეული ხმაურია). ლაპარაკი გაუგებარია).

ხმა პრეზიდიუმიდან: რა უნდათ, ხალხს კითხეთ, რა უნდათ კაცო.

პრეზ. თავმჯდ. — ხალხნო, ყველაფერი პანიკა არის, ყველაფერი მოჭორილია. ნუ გეჯერავთ ნურავის, თქვენ იყავით წყნარად, მოუმინეთ მიტინგს.

თავმჯდომარე — მუშაობს, მუშაობს.

ახალგ. ვაჟი — მეგობრებო, დებო და ძმებო, ამხანაგებო, მოგმისმინეთ ერთი წუთით, რა ვთქვა მე, მომისმინეთ ერთი წუთით. არ ვყოფილვარ არც ორატორი, არც მითქვია არც არაოდეს, არაოდეს ერთი სიტყვა. მისწავლია, გავმხდარვარ ჩვენი სახელმწიფოს შვილი. (შეაწყვეტინეს , ეხვეწება: — მაცალე, რა, ერთი წუთი). მეგობრებო მისწავლია და მასწავლეს ვებრძოლო ჩვენი სახელმწიფოს მტრებს გარეშე და შინაურებს. არ ყოფილა არც ერთი არაფერი — პანიკაა. ჰაერში ისროლეს.

ხალხიდან — მოჰკლეს, ტყუილია (საერთო ხმურია).

ახალგა. ვაჟი — მაცალეთ გეტყვით, გეტყვით მეგობრებო, რატომ და რა რისთვის, — ბევრია ისეთი, რრომლებმაც არ იცის ადამიანური გრძნობა, ბევრია ისეთი, რომელმაც არ იცის დღევანდელი ჩვენი შეკრების საფუძვლები და მიზანი.

თავმჯდომარე — მუშაობს.

ახალგ. ვაჟი — ამ ხალხი, ეს ხალხი, ეს ხალხი, ეს

ხალხი — სისხლი, სისხლი, სისხლშია.

ახალგ. ვაჟი — რაც ხალხიდან შემოვიდა, ყველაფერი მართალია. ხალხი დაჭრეს, ზოგიც მკვდარია.

ხალხი — ყველა წავიდეთ, წავიდეთ. სტალინის სახელით წავიდეთ, სტალინის სახელით (საშინელი ხმაური, ყველა ერთად ყვირის, აღელვებულია).

თავმჯდომარე — ნუ დაანგრიე, გაუშვი ხელი, ნუ დაანგრიე, იყოს აქ. 1-ლი ახალგა. ვაჟი. — ხალხო, ქვა, ხე, ჯოხი, არ დაზოგოთ არავინ.

მე-2 ახალგაზ. ვაჟი — ხმალ-იარაღს მოკიდეთ ხელი, იარაღს.

დაჭრილი — ხალხო, ამხანაგები დაგვიჭრეს. ოთხი კაცი მოკვდა. დანარჩენი წავიდეთ ყველა ერთად ეხლავე. ამხანაგი მომიკლეს, ამხანაგი. სწორედ იქიდან მოვდივარ, წავიდეთ სუყველა ერთად.

მე-3 ახალგ. ვაჟი — ამხანაგებო, ამხანაგებო. სისხლი უნდა ავიღოთ, სისხლი, ჩვენი ამხანაგების, ძმების, მეგობრების. გავჟლიტოთ, მოვკლათ, მკვლელები, საზიზღრები, ბავშვების სისხლი (საშინელი ღმუილია ხალხის, განწირული ყვირილი).

მე-4 ახალგ. ვაჟი მეგობრებო, მე თვითონ ვნახე, ხალხი დახოცეს. ათები ყრია, ათები. მეც ვიყავი იქა, იქიდან მოვდივარ. მე გადვარჩი, იქ ვიყავი, ხალხი დახოცეს.

მე-2 ახალგ. ვაჟი — მეც იქ ვიყავი, მჟავანაძეს დავურეკე, ეგრე მითხრა, რომ დაიშალენითო. ხალხო, ნუ ღელავთ.

1-ლი ახალგა. ვაჟი — ეს ყველაფერი ტყუილია, ხალხნო.

თავმჯდომარე — ამხანაგებო, მიტინგი დროებით დაშლილია.

ხალხი — სწორია, წავიდეთ, წავიდეთ (საშინელი ყვირილი, აღშფოება).

თავმჯდომარე — მიტინგი დროებით დამთავრებულია. ხალხს მივეშველოთ. მჟავანაძეს დავურეკეთ და ასე თქვა — დაიშალეთ, წადით სახლშიო (ყვირიან, კივიან, დიდი ხმაურია ხალხში).

მე-2 დაჭრილი — მომკლეს კაცი. გამოდი აქეთ ჩქარა. ამხანაგებო, ძმებო, დებო, მამებო, შეხედეთ, შეხედეთ, უკან დამჭრეს, შემხედეთ. გადავრჩი, ბეწვზე გადავრჩი. ჩემს წინ ჩემი ამხანაგი მოკლეს, მოკლეს (ხალხში საშინელი ყვირილი, ღელვა, სტვენა, აღშფოთება. პრეზიდიუმიდან უშლიან დაჭრილ ვაჟს — ეგრე ნუ გიჭირავს ხელები, ძმაო, ხალხი გიყურებს.

დაჭრილი — რას მიყურებს, რას მიყურებს. ხალხნო არ მაძლევენ ნებას, რომ გითხრათ, როგორ გაჟლიტეს, როგორ მოგვკლეს, როგორ მოგვკლეს რუსებმა, ხალხო, ჯარისკაცებმა. ხალხნო, თქვენს წინაშე მოვედით სისხლიანი ხელებით. მთელი ახალგაზრდობა დაიხოცა . წადით უშველეთ რამე... (დიდი და საშინელი ხმაური, ღელვა). ხალხნო, ან მოვკვდეთ და ან სიმართლე იყოს. უყურეთ ხალხო, სისხლიანი ხელები მაქვს. რამდენიმე კაცი ავიყვანე ჩემი ხელით. ხალხო, წავიდეთ, მთელი ჯარი დგას და იძახის დაიშალეთო. დავიხოცოთ, სჯობია. წავიდეთ ხალხო და მოვიდეთ კვლავ. გავათენოთ ღამეები.

ხალხი — წავიდეთ, წავიდეთ!

მამაკაცი — ხალხო, ძმები მოგვიკლეს, რაღას ვუყურებთ (ხალხი ღელავს, ყვირის, წავიდეთ)...

ხმა პრეზიდიუმიდან — პირველი იყოს კაცო! (მეორე) რა გინდა რა. (მესამე) — ბიჭებო ასე არ შეიძლება.

ხალხი — ავიდეთ, მივეშველოთ ძმებს, წავიდეთ.

თავმჯდომარე — მხანაგებო, ერთ სიტყვას ვიტყვი მე, ამხანაგებო, მოკლეთ ვიტყვი მე (ხალხი ისე ღელავს, რომ არ აძლევს საშუალებას ლაპარაკისას არავის), ამხანაგებო, თანამემამულენო!

ტრიბუნაზე — ოო! ვაიმე! გაუშვით, წამოდით, ახლა წამოდით.

თავმჯდომარე — დაიშალენით, დაიშალენით (ამტვრევენ პორტრეტებს, დროშებს).

ქალი — მორიგეები დარჩნენ, მორიგეები.

პრეზიდიუმში — წამო მეთქი (იგინება) ხმები: აქა ვართ, ხალხო, ხალხო რას შვრებით რას... (საერთო ხმაური, ყვირილი, მღელვარება, გმინვა, კვნესა, აუტანელი კივილი , წივილი, პანიკა). ხალხის შეძახილი — ჩამოდით, ჩამოდით დაბლა. წავიდეთ, წავიდეთ (ყვირილი, ხმაური). ხალხო სად მიდიხართ, ტყვიას დაგაყრიან, ტყვიას (ყვირილი). რა გაყვირებთ. აბა რა არის ეს — მოიცადეთ (ყვირიან).

ხმა ტრიბუნიდან — გამოაცხადე. ხალხო, დავაპატიმროთ სამხედრო მთავრობა.

ხალხის ხმები — წავიდეთ, წავიდეთ. წამოდით, წამოდით! ჩამოდით, ჩამოდით.

ქალის ხმა — წავიდეთ (ყვირილი, პანიკა, სტვენა). ჩამოდი და წავიდეთ. ბიჭო თავი დაანებეთ! (წივილი და კივილია, პანიკა, ყვირილი, ყვირილი).

დასასრული 23 50"!

აქ მთავრდება სტენოგრამა, მთავრდება იგი იმიტომ, რომ მიტინგიც მთავრდება, იწყება მისი დარბევა. სტენოგრამაში ზოგიერთი მეტად საგულისხმო ფაქტი იკვეთება, მათ შორის პროვოკატორთა ხელიც, თუმცა ეს სპეციალური ძიების საქმეა, რასაც, გვჯერა მომავალი გააკეთებს.

დაღუპულებს ფარულად ასაფლავებენ. გულ[illegible]

დედები და შეშლილი მამები სამართალს ამაოდ ეძებენ

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ტანკებით, ტყიამფრქვევებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით შეიარაღებული ჯარის ნაწილების პირისპირ მდგომ უიარაღო ხალხს არც დაღუპულები და არც დაჭრილები უყურადღებოდ არ მიუტოვებია. ისინი ზურგზე აკიდებულები გაჰყავათ საშიში ობიექტიდან, ზოგს მანქანებით შინ აგზავნიდნენ, ზოგიც საავადმყოფოებში. [illegible] ჩნდნენ.

10 მარტს ღამით 3 საათსა და 30 წუთზე შეიკრიბა საქართველოსაც ცენტრალური კომიტეტის ბიურო. მან განიხილა ღონისძიებანი, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით წესრიგის აღდგენა. ბიურომ პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების წინადადება მიიღო დილის 7 საათზე, სამუშაოს დაწყებამდე, ყველა წარმოება-დაწესებულებაში, უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში პარტიული კრებების ჩატარების შესახებ. პარტიული კრებების მონაწილეთათვის უნდა განემარტათ ქალაქში შექმნილი მდგომარეობა, დაეგმოთ პროვოკატორები, ანტისაბჭოთა ელემენტები, ხულიგნები, ამასთან, წაექეზებინათ პარტიისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტების, კომკავშირლების, მუშა-ახალგაზრდობის, სტუდენტების, მოსწავლეებისა და ყველა მშრომელისადმი. აგრეთვე გაეცნოთ მათთვის თბილისის გარნიზონის უფროსის 1956 წლის 9 მარტის № 14 ბრძანება. ბიურომ დაავალა განათლების მინისტრს გ. ჯიბლაძეს გამოეცა სპეციალური ბრძანება იმ სტუდენტებისა და მოსწავლეების უმაღლესი სასწავლებლიდან და სკოლებიდან გარიცხვის შესახებ. ვინც უმიზეზოდ გააცდენდა მეცადინეობას. ბიურომ ცნობად მიიღო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ფედიუნინსკის განცხადება ქალაქ თბილისში წესრიგის სრული დამყარებისათვის მის მიერ გატარებული სპეციალური ღონისძიებების შესახებ.

დილით თბილისში ნაომარ ქალაქს გავდა. იგი დაღვრემილი, დამწუხრებული გამოიყურებოდა. ხალხი პატარ-პატარა ჯგუფებად, 2—3 კაცი გულდათუთქული შესცქეროდა გადათელილ ბაღებსა და გაზონებს, ტყვიებით დაცხრილულ სასტუმრო „თბილისის" კედლებსა და ჩამტვრეულ უზარმაზარ მინებს. ზოგი მტკვარში იცქირებოდა, ყველანი კი ზიზღით უყურებდნენ ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს, ავტომატმომარჯვებულ ჯარისკაცებს. ეს უკანასკნელი კი დაბღვერილნი, გამარჯვებულის სიამაყით და გულღვარძლიანი ტონით მიმართავდნენ მათ: „რას იცქირები, ძაღლის შვილო!"

11 მარტს კვლავ გაიმართა პარტიის ცენტრალური კომიტეის ბიუროს სხდომა. ფედიუინსკიმ, ინდაურმა და ჯანჯღავამ თავიანთ ინფორმაციებში აღნიშნეს, რომ დღის მეორე ნახევრიდან ქალაქში სტაბილური მდგრომარეობაა, ქუჩებსა და მოედნებზე აღდგენილია წესრიგი. წესრიგის შემდგომ განმტკიცების ღონისძიებებთან ერთად დამტკიცდა სპეციალური თემატიკა, რომლის მიხედვითაც უნდა გამოქვეყნებულიყო სტატიები რესპუბლიკურ გაზეთებში და გადაცემები საუბრებისა. რადიოკომიტეტის ხაზით. თემატიკა ძირითადად შეეხებოდა პიროვნების კულტისა და ხალხთა მეგობრობის პრობლემებს.

5—9 მარტის ღამით მომხდარი ინციდენტის გამო შეიქმნა კომისია ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მ. გიორგაძის თავმჯდომარეობით. ცალკე კომისია (მჭედლიშვილი, მეგრელიშვილი, ჯაში) შეიქმნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტთან არსებულ ორწლიან პარტიულ სკოლაში არაჯანსაღი დამოკიდებულების შესასწავლად. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მივაკვლიეთ კომისიის დასკვნებს.

13 მარტს გამართულმა ბიუროს სხდომამ ცნობად მიიღო ინაურისა და ჯანჯღავას ინფორმაციები 5—9 მარტის ამბების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და დაავალა მათ განვგრძოთ ძიება მტრული ელემენტის გამოსავლინებლად.

რაც შეეხება დაღუპულთა ბედს, მათი დაკრძალვის ორგანიზაციას, აქ თვითმხილველთა და დაკრძალვის ოპერაციების მონაწილეთა სიტყვებს უნდა დავეყრდნოთ. მათ მოგონებებს ვეყრდნობი იმიტომ, რომ იმ პერიოდის საარქივო დოკუმენტები, როგორც ჩვენს თხოვნაზე (1990 წ. 3 სექტემბერი) შინაგნ საქმეთ სამინისტროდან ოფიციალურად გვიპასუხეს (1990 წ. 11 ოქტომბერი № 7—6 · —1—4223), სამწუხაროდ, არ გაჩნიათ.

„ღამის ორ საათზე თუ უფრო გვიან, — წერს იმხანად თბილისის კალინინის რაიონის მილიციის განყოფილდების უფროსის მოადგილე, აკაკი ხოხიაშვილი, — რესპუბლიკის მილიციის სამართველოს უფროსმა, კომისარმა . მუსერიძემ [illegible] დავლება მისცა ოფიცრებს, დადგენილი მისამართების მიხედვით სასწრაფოდ შეეკრიბათ და მოეყვანათ ჭირისუფლები. კომისარმა მიუსამძიმრა მათ და განუცხადა: საშინელი ტრაგედიის წინაშე აღმოვჩნდით, რომლის გამოსწორებაზე ფიქრიც ზედმეტია. ახლა ჩვენი ვალია, მოვიკიბოთ ძალ-ღონე და დაღუპული ახალგაზრდები დავკრძალოთ. თქვენ თქვენით რომ დაასაფლავოთ, ამას მოჰყვება მოსახლეობის დიდი მღელვარება, რომელიც შეიძლება უფრო საშინელ ტრაგედიაში გადაიზარდოს. ამიტომ, გთხოვთ, გაგვიწიოთ ანგარიში.

მოთხოვნები კი ასეთი იყო: დაკრძალვა მოხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე. დილის 5 საათზე ჭირისუფლებთან მოვიდოდნენ მილიციის მუშაკები და წაიყვანდენ იმ საავადმყოფოში, სადაც მათი მიცვალებული იყო დასვენებული. იქ დაღუპულის მხოლოდ დედას, მამას, დას, ძმას, ცოლს, შვილს შეეძლოთ მისვლა და სპეციალურად გამოყოფილ ოთახში საშუალება ექნებოდათ ეგლოვათ მიცვალებული. ამის შემდეგ, სასწრაფო დახმარების მანქანით გადაასვენებდნენ სასაფლაოზე"... (გაზ. „თბილისი", 9 აპრილი, 1990 წ.

შოთა ნოზაძე
წიგნიდან „1956 ტრაგიკული 9 მარტი"

პოლემიკა

ოჰ, ეს სტალინი!

40 წლის წინათ აღსრულა სტალინი. ამ თარიღს სხვადასხვანაირად გამოეხმაურნენ ჩვენს პრესასა თუ ტელევიზიაში. „საქართველოს რესპუბლიკაში“ (6.02.93) კი გამოქვეყნდა გურამ ვაშაკიძის მიერ მომზადებული მასალა სათაურით „მარტი, ორმოცდაცამეტი...“

წერილის პრეამბულაში გ.ვაშაკიძე ეხება ჩემს რეპლიკას — „ხელის გამმართველი“... საიქიოდან“ („საქართველო“, № 5, თებერვალი, 93), სადაც გაკრიტიკებულია გ. ვაშაკიძის წერილში — „დღესაც სტალინის იმედით?!“ (6.02.93) გატარებული აზრები.

ბ-ნ გურამ ვაშაკიძის რეაგირების გაცნობის შემდეგ კვლავ გადავიკითხე ჩემი რეპლიკა და გული დამწყდა, რადგანაც ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მან ან უბრალოდ ვერ გაიგო ჩემი აზრი ან შეგნებულად დაამახინჯა სინამდვილე.

გ. ვაშაკიძე თავისი ახალი პუბლიკაციის პრეამბულაში მოკლედ გადმოსცემს ადრინდელი წერილის შინაარს, მაგრამ რატომღაც არაფერს ამბობს წერილის ფინალზე, რის გამოც დაიწერა ჩვენი რეპლიკა.

ჩემი მისამართით კი გ. ვაშაკიძე აღნიშნავს, რომ შესაძლოა მე გამაღიზიანა იმან, რომ ის უშვერად არ ლანძღავს სტალინს თავის წერილში, რომ ჩემთვის მიუღებელი აზრის გამო სხვას ვტუქსავ (!) და „განსხვავებული აზრის თანაარსებობას კატეგორიულად მიუღებლად“ მივიჩნევ.

ჩემი მისამართით გამოთქმულ ამ შენიშვნებს (რბილად თუ ვიტყვით) არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან და საიდან მოიტანა ისინი გ. ვაშაკიძემ, უბრალოდ გაუგებარია.

ჯერ-ერთი, საიდან ასკვნის ავტორი, რომ მე შეიძლება გაღიზიანებული ვიყო იმის გამო, რომ იგი სტალინს უშვერად არ ლანძღავს. სად ნახა ამას საფუძველი ჩემს პუბლიკაციებში? არაერთი კრიტიკული წერილი მაქვს გამოქვეყნებული სტალინსა და სტალინიზმზე, მაგრამ ლანძღვა-გინება რა საკადრისია (ლანძღვა-გინება და კრიტიკა სხვადასხვაა, ისე როგორც სხვადასხვაა დატუქსვა და კრიტიკა).

მეორე: საიდან ჩანს, რომ მე სხვის აზრს შეუწყნარებლად მივიჩნევ? აქ პატარა განმარტებაა საჭირო. ყოველგვარ აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ყველა აზრის უკრიტიკოდ მიღება გაუმართლებელია. მითუმეტეს, როცა ეს აზრი გამოითქმება საჯაროდ.

რატომ აღშფოთდა ქართველი ხალხი ოსტანკინოს ერთი გადაცემის გამო? იმიტომ, რომ ბათუმელთა ერთმა პატარა ჯგუფმა ჩვენი ხალხის სახელით რუს ჟურნალისტს შეჰღაღადა — „უფროსი ძმა გვინდაო“. რატომ აღაშფოთა გენერალ პავლე გრაჩოვის განცხადებამ? იმიტომ, რომ საჯაროდ განაცხადა, რუსეთს, აფხაზეთსა და აჭარაში სტრატეგიული ინტერესები გააჩნიაო.

მოკლედ, განსხვავებული აზრი უნდა შეიწყნარო, მაგრამ, თუ ის ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, უნდა შეაფასო და დაარქვა თავისი სახელი.

რას ვედავებოდი გ. ვაშაკიძეს? იმას, რომ მან საჯაროდ განაცხადა: „საოცარი ბედი დაჰყვა ამ კაცს (სტალინს-მ.მ). ორმოცი წელია ლანძღვა-გინებით ვავსებთ, ის კი თავის მაგიერ ამ სათაურით გამომიმოიტანა „ილიაჟ“ დასტამბა მწერალ მიხო მოსულიშვილის მიერ შედგენილი შელოცვათა წიგნი და ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კრებული ძვირფასი შენაძენი იქნება პოეზიის მოყვარულებისათვის.

შესავალ სიტყვაში ბატონი ამირან არაბული აღნიშნავს: „ვისაც შემლოცველის ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები მოუსმენია, დაგვემოწმება, რომ ეს უწინარეს ყოვლისა პოეზიაა; პოეზია შინაგანი რიტმით, ექსპრესიით, კეთილხმოვანებით და გნებავთ, სახეობრივი სისტემით“. მართლაც, ეს შელოცვები, რომლებიც სათავეს ხალხის მისტიკური წარმოსახვებიდან, მითოლოგიიდან იღებდა და წიგნის შემდგენლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიტყვით აქიმობას“ ემსახურებოდა, შემკულია უდაოდ მაღალი მხატვრული დირებულებებით, სალექსო კულტურით და შელოცვათა სახით, რომლის პირველადი - ამოცანაც ადამიანის სნეულებისგან განკურნება იყო. ჩვენს თვალწინ იშლება ჯერ კიდევ ჯეროვნად დაუფასებელი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც უეჭველად ქართული ხალხური პოეზიის [illegible] ელოდა.

აი, ორიოდე ნიმუში ამ კრებულიდან:

„მოდიოდა ქრისტე ღმერთი,
იჯდა კვიცზედ უხედარზედ.
გადიხედა ქვედა ქვეყანაზე:
— ნეტა რისი ზივილია,
ნეტა რისი კივილია,
არავინ ატყუებდეს ქვრივსაო
არცა რა ვინ აკლებდეს
ობოლს მწირსაო. —“

ან კიდევ:

„ხახელი ღვთისა, მამისა , ძისა, სულისა წმიდისა.
ხახლმა შეგაშინა თუ ხახლის ანგელოზმაო,
დედამ შეგაშინა თუ მამამ შეგაშინაო,
ცეცხლმა შეგაშინაო თუ ცეცხლის ანგელოზმაო,
ჭერმა შეგაშინა თუ ჭერის ანგელოზმაო,
ცამა შეგაშინა თუ ცის ანგელოზმაო,
მზემ შეგაშინა თუ მზის ანგელოზმა შეგაშინაო“.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერსიფიკაციული თვალსაზრისით შელოცვათა უმრავლესობა თავისუფალ ლექსებს წარმოადგენს. ზოგგან დარღვეულია რიტმი, სალექსო წყობა და იგრძნობა, რომ სახურველია მათ შემლოცველთა ბაგეთაგან ისმენდე, როცა ისინი მელოდიურად ეღერენ, როცა უფრო დასრულებული სახით ვლინდება შელოცვათა მთელი არსი.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალ შემთხვევაში ქრისტიანულ მოტივებზეა აგებული, შელოცვებს, რომ არაფერი ვთქვათ კომუნისტური იდეოლოგიის ნეგატიურ დამოკიდებულებაზე, ეკლესიის მხრიდანაც ყოველთვის უარყოფითი შეფასება ეძლეოდა, მაგრამ თუ ამ წიგნს შეეხედავთ როგორც სიტყვაკაზმულობის ხელოვნებასა და ქართული მითოლოგიის პოეტურ ინტერპრეტაციებს, ყოველგვარი წინააღმდეგობისაგან განთავისუფლდებით. სწორედ ამის თაობაზე მშვენივრად აღნიშნავს მიხო მოსულიშვილი: „ეს სიტყვით აქიმობაა და ჩვენთვის რომ ვთქვათ, განა სხვა რაა პოზია, თუ არა სიტყვით აქიმობა“ —ო.

კრებული შედგენილია ე. თაყაიშვილის, ს. მაკალათიას, ს. ჟღენტის, პ. უმიკაშვილის და სხვა ავტორთა მიერ შეგროვებული მასალების საფუძველზე

წიგნი მხატვრულად გაფორმა და მაღალი გემოვნებით შესრულებული ილუსტრაციები დაურთო მხატვარმა გია ღლონტმა.

ვახტანგ კომახიძე

«გველი მოვკალ უფლისათვის»

პატივცემულო რედაქცია!

ჩვენ, ქ. ტყიბულის მცხოვრებლებს, რუსეთის პრესას რომ თავი დავანებოთ, 1992 წლის ზაფხულის შემდეგ აღარ გვაქვს საშუალება გავეცნოთ ქართული პრესის ზოგიერთ წარმომადგენელს, მათ შორის გაზეთ „7 დღეს“ და რაც ჩემთვის განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, თქვენს გაზეთს — „საქართველოს“, რომელსაც ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობ და პატივს ვცემ, როგორც სამართლიან, ობიექტურ და უშიშარ გაზეთს.

პატივცემულო რედაქცია! იქნება, როგორმე დაგვეხმაროთ, რომ ჩვენც, ტყიბულელმა მკითხველებმა შევძლოთ გაზეთ „საქართველოს“ წაკითხვა.

პატივისცემით
გიორგი წერეთელი
ქ. ტყიბული

რედაქციისაგან:

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას დიდი სურვილი აქვს დაეხმაროს ტყიბულელ და საერთოდ, საქართველოს ყველა კუთხის მკითხველს, რომ დროულად შეძლონ ჩვენი გაზეთის წაკითხვა, თავს ზემოთ ძალა არ არის — წესით და რიგით პრესის გავრცელების სამმართველოს მოვალეობაში შედის გაზეთის ადრესატამდე მიტანა, მასთან აქვს რედაქციას დადებული სათანადო ხელშეკრულება და გვარიან თანხასაც გვართმევენ, მაგრამ მაინც ბოლო არ უჩანს ამგვარი გულისტკივილით დაწერილ წერილებს...

გასწორება

ჩვენი გაზეთის მე-7 (3—9 მარტი) ნომერში დაბეჭდილი ფ.კოჟიაშვილის წერილის „გაეროში“ რა გვინდოდა, თუ...“ მე-2 სვეტის მე-4 აბზაცის ზემოდან ქვემოთ მე-7 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „როგორც ბატონი ტარიელ ჭანტურია იტყოდა, ბარბარუსული...“ შემდეგ როგორც ტექსტშია.

ვყიდი პიანინო „აკორდს“. ტელ. 62-00-67

ეცვლი ოთხოთახიან ბინას ვარკეთილი — 3, 1 მიკრორაიონიდან ქალაქის ნებისმიერ ადგილს 4 ან 3 ოთახიან ბინაზე. ტელ: 93-184-1

საქართველოს სასალხო ფრონტი, ხარაგაულისა და რაიონული განყოფილებები მწუხარებით იუწყებიან, რომ სოფელ მერკულასთან ბრძოლაში დაიღუპა სსფ-ს წევრი ნოდარ თაქაზარაშვილი და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ფელიქს კოჩიაშვილი
კობა ლიკლიკაძე
მიხო მოსულიშვილი
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ.:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
10 მან.

ავტორებს ვთხოვთ ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის მასალას ნუ შემოგვთავაზებენ.